ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2527542

ნომერი: AR1393604

თარიღი : 05.04.2016

გაცემის თარიღი : 08.04.2016

გაცნობის თარიღი : 08.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N3 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნეკრასოვი , N 2 / ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 1-3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ხორგუაშვილი პ/ნ 01021017518
- თბილისი თემქა III მ/რ I კვ. კორ. 19 ბ. 36

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განაცხადის განხილვის შედეგად გაცნობებთ, იმისათვის რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო წინადადება. ამასთან, განგიმარტავთ რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად დავით აღმაშენებლის N3–ში მდებარე შენობას მინიჭებული აქვს კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი. კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები საჭიროებს ნებართვის გაცემას. შესაბამისად, იმისათვის რომ სამსახურმა იმსჯელოს პროექტის განხილვის, ნებართვისა და სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ, განაცხადი უნდა დარეგისტრირდეს შესაბამის ნომენკლატურაში (ელექტრონული განაცხადები –> მშენებლობის ნებართვა –> კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი –> სარეაბილიტაციო / მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები –> ქმედებები: ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები –> სტადიები: მშენებლობის ნებართვა) და წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.